



MES 1 22 0001590593



12/12/2022

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი: 09/12/2022

სხდომის დაწყების დრო: 12:05 სთ

სხდომის დამთავრების დრო: 12:40 სთ

სხდომის თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული

სხდომის მდივანი - არჩილ სუმბაძე

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

გივი გაგნიძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;

თამარა თორია - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

არჩილ სუმბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

გიორგი ტრაპაიძე - სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

კახაბერ ფარცვანია - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი;

აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 103 -ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom - ის გამოყენებით. საპელაციო საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

EQE VET Authorization is inviting you to a scheduled Zoom meeting.

Topic: სააპელაციო საბჭოს სხდომა

Time: Dec 9, 2022 12:00 PM Baku, Tbilisi, Yerevan

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888>;

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 2022

“საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის გამო, მისი ფუნქციების შესრულება სხდომის თავმჯდომარის დავალებით დაეკისრა საბჭოს წევრს არჩილ სუმბაძეს.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ სააპელაციო საჩივრის (N°1515930 29/11/2022; N°1562675 07/12/2022) მიღების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

✓ არა

ზეპირი მოსმენა:

1. შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ სააპელაციო საჩივრის (№1515930 29/11/2022; №1562675 07/12/2022) მიღების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ. საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრულია დებულების 97-ე მუხლის პირველ პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი მიიღება სააპელაციო საბჭოს მიერ განსახილველად.

საბჭოს სამდივნოს განმარტებით, რომელსაც სხდომაზე წარმოადგენდნენ ნანი დალაქიშვილი და ქეთევან ციხისელი, შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ (ს/კ: 245409838) სააპელაციო საჩივარი შეეხებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 ნოემბრის № 1459091 გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ იურიდიულ პირს, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას/კოლეჯს, გაუუქმდა ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რამდენადაც აღნიშნული სააპელაციო საჩივარი იყო პირველი, რომელსაც სააპელაციო საბჭო განიხილავდა პროფესიული განათლების მიმართულებით, მიეწოდებინათ ზოგადი ინფორმაცია შპს „ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში“ განხორციელებული მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, რაც საფუძვლად დაედო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ შპს „ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში“ მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის აჭარის და გურიის სამმართველოს წერილის საფუძველზე. აღნიშნულ წერილში ასახული იყო, რომ შპს „ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელს“ ჰყავდა სტუდენტები, რომლებიც არ იყვნენ დარეგისტრირებულნი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ ბაზაში (რეესტრში). სამსახურმა აღნიშნულის საფუძველზე დაიწყო წარმოება შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ მიმართ და მონიტორინგის განხორციელების მიზნით ექსპერტთა ჯგუფი მიავლინა დაწესებულებაში. ვიზიტის შემდეგ, ჯგუფმა ცენტრში წარმოადგინა მონიტორინგის დასკვნა, რომელშიც ფიქსირდებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების უხეში დარღვევები. ასევე, წარმოების ფარგლებში გამოიკვეთა კანონმდებლობის დარღვევის ფაქტიც. სახეზეა, დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე პირის სამხედრო სამსახურის გადავადების ფაქტი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი არ ჰქონდა მოპოვებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია დებულების 97-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით და დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამებოდა

დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ სააპელაციო საჩივრის (№1515930 29/11/2022; №1562675 07/12/2022) მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:


მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნას შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ სააპელაციო საჩივარი (№1515930 29/11/2022; №1562675 07/12/2022).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სუმბაძე არჩილ

